# სახალხო გაზეთი

სურათებიანი დამატება

გაზეთის № 1189

დამატების № 210

კვირა, 18 მაისი 1914 წ.


## ღამის სულები

მთლად ჩამობნელდა ცის ვრცელი ფერდა,
ჩამოწვა ღამე თმა-ბნელ-ხუჭუჭი
და, რაც მალხენდა, რაც გულს მიძგერდა—
სუყველაფერი გამოდგა ფუჭი.
წამოიშალნენ საფლავის ჩრდილნი,
სასაფლაოსკენ მიშვერენ ხელსა:
იქ არიანო ბედგარდაცვლილნი,
იქ გაქვსო ბინა გაუხარელსა...
სულნო, ნუ მიხშობთ ნორჩსა ბუნებას,
ამ ქვეყნად ყოფნა მწყურიან კიდე,
მინდა ჩემს სატრფოს, ჩემსა ოცნებას
ლექსებს ვუმღერდე, ცრემლს შევწირვიდე.
თუნდ მხოლოდ ერთხელ მითხრას „მიყვარხარ“,
სიტყვა საამო, ცხოველ-მყოფელი
და მერმე, ვფიცავ, ვფიცავ, რომ მზად ვარ,
დაუნანებლად დავთმო სოფელი...

—

მაგრამ სულ ახლო იწევენ ჩრდილნი,
სასაფლაოსკენ მიშვერენ ხელსა:
იქ გელიანო ბედგარდაცვლილნი,
იქ გაქვსო ბინა გაუხარელსა.

**ი. მჭედლიშვილი.**

## ანეტა

ვარდსა წვიმით დანამულს,
ნიავისგან შერხეულს
მეტის ლხენით
სიამით
თავი ძირს დაუხრია...
მისი ეშხით ბუნება
ხარობს და იღიმება...
შენ კი, ჩემო ანეტა,
გინდა ვარდის მოწყვეტა,
რისთვის, რისთვის, ლამაზო,
კარგო,
ნაზო,
მალხაზო,
განა არ გებრალება?..

**ქნარი.**

## ტყეს სჭრიან

(თარგმანი)

ტყეს სჭრიან ნორჩსა, ამწვანებულს, ნაზად ფურჩქვნილსა;
ბებერ ნაძვთ წყება თავდახრილი და სევდიანი
შორით გასცქერის ცის დასავალს, უსიტყვოდ ქმნილსა,
ფიქრებს ეძლევა კაეშნიანს სველ ლაწვიანი.

* * *

და სჭრიან ტყესა იმისთვის, რომ ადრე ამღერდა,—
რომ გარიჟრაჟზე აფხიზლებდა მძინარ ბუნებას?
რომ ნორჩ ფოთლებით იგი ამაყ ჰანგებს უძღერდა
მზესა დიადსა, ნეტარება-თავისუფლებას?

* * *

ტყეს სჭრიან... მაგრამ თესლი მიწას კვლავ დაეყრება,
გაივლის წლები და სიცოცხლის უკვდავსა ძგერას
თან ამოჰყვება, თავს აიყრის მწვანე ხეთ წყება
ძმების საფლავზე შემოსძახებს იმავ სიმღერას.

**აკაკი პაპავა.**




უკვდავი გრძნობა.—მარმარილოს ქანდაკება.

## ქალი მასწავლებელი

(ამბავი)

1.

ზაფხულის მყუდრო საღამო იყო, ის-ის იყო ბადრი მთვარე ამოცურებულიყო და უხვად მოეფინა თავისი ოქროსფერი სხივები მთელს არე-მარესათვის. სოფლის სკოლის წინ მდგომარე უზარმაზარი კაკლის ხეების ჩრდილები უშველებელს ზოლებად გაწოლილიყვნენ, მთელი ეზო დაეჩრდილათ და მხოლოდ აქა-იქ ძლივს გაერღვიათ და შეჭრილიყვნენ ეზოში მთვარის მკრთალი სხივები და ადგილ-ადგილ გაენათებინათ იქაურობა. ბუნება თითქმის ირგვლივ მიმკვდარიყო და მიძინებდა, თითქოს სოფლის მშრომელ ხალხთან ერთად, რომელსაც უკვე დიდი ხანია ჩასძინებოდა, ისვენებდა ისიც,

# კოტე მესხის გარ



კოტე მესხი ნაპოლეონის როლში.



კოტე მესხი დონ-სეზარის როლში.

ძალას იკრეფავდა და მთვარის შუქში ჩაფლული და გარემოცული ზანტად იმშუშნებოდა. სიცოცხლე მხოლოდ მთვარეს ეტყობოდა, მის ბადრა, სპეტაკ სახეს თითქოს მოსვენება არა ჰქონდა, თანდათან ზევით-ზევით იწევდა, ცდილობდა მთელს ქვეყანას, მთელს გარემოცულს სამყაროს ბრწყინვალე სამოსლად შემოჰხვევოდა და ყველას გულის სიღრმეში ჩაეხედნა, ყველას გულის ნადები გაეგო და აეკრიფნა. მთვარესთან ერთად მოსვენება არა ჰქონდა სოფლის მასწავლებელ ქალს თინათინა ვარდიაშვილს, რომელიც კაკლის ხეებისაგან წამდგარ გრძელ ჩრდილებში ნელ-ნელა მიდი-მოდიოდა და მთვარის შუქი ხეებსა და ხეებს შუა შეჭრილი მის შავს ტანისამოსს თოვლის ფიფქსავით აქა-იქ ეყრებოდა.

დიდ ხანს მიდი-მოდიოდა ამ გვარად მასწავლებელი, სახე დაღვრემილი, ჩაფიქრებული, გაჩუმებულ-გარინდული. ვერც ბუნების სიკეკლუცეს, ვერც მთვარის შუქით გაბადრულს არე-მარეს ვერ გაეხარებინათ მისი მოქუშული პირისახე. რაღაც დიდი ბოღმა, დიდი ვარამი აწუხებდა მთელს არსებას; მთელს მის მოძრაობას, ამოკვნესას, ხმის ამოღებას და მიხვრა-მოხვრას რაღაც არაჩვეულებრივი მოწყენილობა, დარდი და მოუსვენრობა ეტყობოდა. აღარაფერი აღარ იზიდავდა, აღარაფერი აღარ ახარებდა ერთს დროს უდარდელს მასწავლებელს, მხიარულსა და სკოლის საქმისათვის თავდადებულს მხნე მუშაკს. კარგა ხანია უსიამოვნება შეჭროდა გულში და ეს უსიამოვნება აღარა შორდებოდა, ბოლო აღარ ელებოდა, პირიქით რაც დრო გადიოდა უფრო იზრდებოდა, უზარმაზარ მთა-კლდეთ გადაქცევას აპირებდა და წამოქცევას იქადდა.

დიდხანს დადიოდა ასე წინდა-უკან მასწავლებელი ანგარიშ მიუცემლად. მთვარე უკვე კარგად წამოდგა; ხეების ჩრდილები ძალზე შემოკლდა და შიგ ეზოში ჩამოიხედა მთვარემ. მაგრამ მასწავლებელს არც კი შეუმჩნევია ეს, მთელი მისი არსება, მისი გრძნობა და აზროვნება იმ უსიამოვნობას, იმ ბრძოლას გაეტაცნა და შეეპყრო, რომელიც სოფლის ახალმა მღვდელმა გამოუცხადა, რომლისთვისაც ბრმა განგებას სკოლის გამგეობა ჩაებარებინა.

— ეჰ, სთქვა დიდის ხნის მჭმუნვარების შემდეგ მასწავლებელმა თინათინმა და თან ბოლთის ცემას მოუმატა, ქალი სუსტია, დაბალი ლობეაო და ყველას შეუძლიან მისი გადაქელვაო, ასე ჰგონია მამა ლავრენტის. მაგრამ ტყუილადა ჰგონია, ჩემში ლაჩარს, სკოლის ყოველი გამგისა და უფროსის ფეხქვეშ გამგებს ვერა ჰპოვებს. მე პატივსა ვსცემ პიროვნებას და არა გამგეს. რამდენადაც სკოლის გამგე ეთანხმება სკოლის გამგის თანამდებობას იმდენად პატივსაცემად მიმაჩნია იგი და ყოველ ვიგინდარას მე ვერ გავექელვინები. რამდენიც უნდა იბრძოლოს, ჭორებით ავსოს სოფელი, ბეზღარობა და ჯაშუშობა სწიოს სკოლების მეთვალყურესთან, მე დარწმუნებული ვარ, რომ ბოლოს გონიერება დასძლევს ყველას, რომ ყველა დარწმუნდება ჩემს სამართლიანობაში და მაგის არამზადობაში, ტყუილ ჭორების გამოგონებაში და ათას საზიზღარ ცილისწამებაში. არა, არა მე მაგას არ გავექელვინები, არ დავებრიყვინები, არც ამ სკოლას მოვშორდები, რომელიც ასე სათუთად აღვზარდე, მოუარე, გავამშვენიერე და სწავლა შევაყვარე ბავშვებს. არა, მე ჩემს სკოლას ბეჯითად ვემსახურები, თავს შევწირავ მას, და მაგას კი არ გავექელვინები, არა...

— მასწავლებელო, შუაღამე გადავიდა, დროა ძილისა, მოესმა ამ დროს სკოლის აივნიდან მასწავლებელს სკოლის მსახურის სვიმონის ხმა.

მასწავლებელი უცებ შეხტა ამ მოულოდნელ დაძახებით, მაგრამ საჩქაროდ გამოერკვა, შეხედა მთვარეს და რა დარწმუნდა, რომ მართლა დიდი ხანი გასულიყო, მაშინვე მიატოვა ცაცხვების წინ ბოლთის ცემა და სახლში მიაშურა დასაძინებლად, თუმცა კი დიდი ხანია მოსვენებული ძილი არა ჰქონდა.

ს. კუდიანეთში დიდი ხანი იყო რაც თინათინა მასწავლებლად იყო, ამ მივარდნილსა და მიყრუებულს სოფელში საკვირველიც იყო, რომ ასეთს მასწავლებელს, რომელიც კარგს ქალაქშიაც თავისუფლად იშოვიდა ადგილს ამ სოფელს შემოჰკედლებოდა და შეთვისებოდა. მაგრამ ახალგაზდა ქალი მოვიდა თუ არა მასწავლებლად ისეთის ახალგაზდულის ენერგიით, სიამოვნებით და გატაცებით მოჰკიდა ხელი სწავლა-აღზრდას სოფლის პატარა უსწავლელ გოგოებისას, ისეთ ნაირად შეეთვისა, შეემკვლევინა და შეიყვარა, რომ ეს სკოლა მას პირმშო შვილად მიაჩნდა და თითქოს მასზე ამოსდიოდა მზე-მთვარეო, არაფერს არ იშურებდა და ზოგავდა მისთვის. ის მასწავლებელი კი არ იყო მარტო ხელობით, არამედ სულით, გულით და მთელის თავისის არსებით. მასწავლებელს პატარა ბავშვების წრთვნა და სწავლება-აღზრდა თავის პირველ დანიშნულებად მიაჩნდა. უნდა გენახოთ თინათინა თავის კლასში, როცა ის ფარვანასავით თავს დასტრიალებდა პატარა მოწაფე—ქალებს, ისე უვლიდა, ისეთის სიყვარულით და სიამოვნებით თავს ევლებოდა ყველას და ყოველივე წვრილმანს უსხნიდა და უყვავებდა, რომ მრავალ დედას შეენატრებოდა ბავშვების ასეთი მოქცევა-მოპყრობა. ბავშვები მისთვის ის მასალა კი არ იყო, რომელთათვისაც მარტო ბაბუა უნდა ესწავლებინა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დაცვალების ბაღი



კოტე მესხი ნიკო მაჭარაშვილის როლში.



კოტე მესხი ნერონის როლში.

და ორიოდე რუსული სიტყვა, არამედ ის ადამიანები, რომელნიც სკოლას ყოველმხრივ მომზადებულები უნდა გამოეყვანა ცხოვრებაში. ამიტომ გარდა წერა-კითხვისა ის ბეჯითად ასწავლიდა ხელსაქმეს, სიტყვა-პასუხს, ჭრა-კერვას, და ყველაზე კიდევ უფრო მეტად უნერგავდა სამშობლოსა და ოჯახის სიყვარულსა და პატიოსნურს ცხოვრებას და თავდაჭერილობას. მასწავლებელი ფართოდ აბავდა ქსელს სასწავლებელსა და შეგირდებს შორის. სწავლა-გათავებული ბავშვები, სკოლას სამუდამოდ კი არა სწყდებოდნენ, როგორც ეს ჩვეულებრივ არის ხოლმე, არამედ ხშირი დამოკიდებული ჰქონდათ სკოლასთან და ორგანიულს მოთხოვნილებასა გრძნობდნენ მისადმი; ყოველთვის მოდიოდნენ მასწავლებელთან გათხოვება-დაოჯახების შემდეგაც და ხან წიგნები მიჰქონდათ სკოლიდან საკითხავად, ხან შესაკერავ-გამოსაჭრელად კაბები, ან კიდევ რამე რჩევის საკითხავად სხვა და სხვა ოჯახურ საკითხების შესახებ და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით ისეთი მჭიდრო დამოკიდებულობა დაარსდა მთელი 15 წლის განმავლობაში მასწავლებლისა და შეგირდების შორის, რომ ყველას უკვირდა, სუსტმა ქალმა როგორ შესძლო, ამოდენა გაველურებულ ბავშვების გაადამიანება და ხალხად გარდაქმნაო.

— წა, ჩონ მასწავს ჰკითხე, რა გებნების მი თაობაზე, ეუბნებოდნენ ხოლმე კუდინეული ქალები ერთმანეთს თუ რამე გასაჭირი ჰქონდათ.

— წა, ჩონ მასწავ გასწავლის კაი კაბის შეკერვას და ქარგვას და სხვა და სხვა. სიტყვა „ჩონ მასწავ" ეძახდა თინათინს მთელი სოფლის დიდი და პატარა და მისი ნამდვილი სახელი თინათინი თითქმის არავინ იცოდა. სოფელი დიდი მადლობელი იყო თინათინისა. როცა პირველად ხსნიდნენ სკოლას, ხალხი დიდის ეჭვით უცქეროდა და ზოგნი პირდაპირ წინააღმდეგნიც იყვნენ და ხმამაღლა გაიძახოდნენ:—რად გვინდა ქალების სკოლა, ნალოც ქალი (ნასწავლი) გიჟი კეთების და სხვა. მაგრამ მთელმა თხუთმეტმა წელიწადმა და თინათინის მოღვაწეობამ ნათლად დაანახვა ხალხს სრულიად წინააღმდეგი. ქალები გიჟები კი არა უფრო კარგი სიტყვა-პასუხის მცოდნენი, თავდაჭერილნი და კარგის ხელ-საქმის მცოდნენი გამოდიოდნენ სკოლიდან. სოფელი ეხლა დიდის იმედით უცქეროდა სკოლას, მას თავის ლამპრად, თავის გონების სალაროდა სთვლიდა და ყოველივე მშობელი მიისწრაფვიდა თავისი ქალიშვილი სკოლაში მიებარებინა. სკოლა ივსებოდა ბავშვებით და ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ სკოლამ ველარც კი დაიტია სწავლის მსურველთა რიცხვი.

ასე მიდიოდა სკოლის საქმე. ხალხი მადლიერი იყო, მასწავლებელსაც ეს უხაროდა, ივსებოდა სიამოვნებით მისი გული და ეს უმატებდა ენერგიასა და ძალას სკოლისა და ხალხის სასამსახურად. ისიც ისე შეეჩვია, ისე შეეთვისა სკოლას, რომ ოცჯერ მასზე უკეთესი ადგილი მიეცათ სხვაგან არსად წავიდოდა. მეტი რა უნდოდა კარგსა და ნამდვილს სულითა და გულით მასწავლებელს, მის ნაშრომს ნაყოფი მოჰქონდა, ხალხი იმედით შესცქეროდა, ყოველი მოსწავლე პატივით იხსენიებდა და არას დროს მას არ ივიწყებდა და მის პატივისცემაში იყო. როგორც კარგ პურის მთესველს გაზაფხულის პირად შეღერებული ზღვასავით მღელვარე ჯეჯილი გულს სიამოვნებით უვსებს და უხარებს, ისე იყო თინათინის საქმე. ისიც ჰხედავდა თავის მოსავლის სიუხვეს და ღირსებას და ცამდის კმაყოფილი იყო.

თინათინს მხარს უჭერდა და ეხმარებოდა სკოლის მაშინდელი გამგე მღვდელი ანტონი, რომელსაც თინათინზე ნაკლებ არ ეყურებოდა სკოლის საჭიროება, მის კარგს ნიადაგზე დაყენება ისეთს მივარდნილსა და გაველურებულს სოფელში, როგორიც იყო სოფ. კუდიანეთი. კარგი განათლებული, პატიოსნებით აღვსილი და მშრომელი მღვდელი თითონაც დიდათ მოხარული იყო, რომ სკოლის საქმე კარგად მიდიოდა და ამიტომ სკოლის მასწავლებელ ქალთან ერთად ხელი-ხელ გადაკიდებული ხელს უწყობდა სკოლის კეთილდღეობას. სკოლა მათთვის იმ სანუკვარსა და ხელის-საგოგმანებელს საგანს შეადგენდა, რომელსაც განათლების სხივი უნდა შეეტანა ბეჩავსა და ბნელს ხალხში.

## 2.

დრონი მიდიოდნენ. ცხოვრების სრბოლი ყოველთვის ერთს დონეზე როდი აყენებს ხოლმე ხალხთა კეთილდღეობას, იგი ცვალებადია ვით ტაროსი. მამა ანტონი მიიცვალა და მის ადგილზე მამა ლავრენტი დანიშნა სასულიერო მთავრობამ და სკოლასაც მასთან ერთად სულ სხვა სიომ დაჰბერა.

ახლად გამწესებულს მამა ლავრენტის, რომელსაც დოკუმენტებში ლავრენტის მაგიერ ვისი ეწერა, არ ვიცი სხვის თვალის დასაბრმავებლად თუ სხვა რამე მოსაზრებით, რის ვაინაჩრობით ძლივს გაეთავებინა სასულიერო სასწავლებელი. შემდეგ დიდხანს აქეთ-იქით ეხეტიალნა უადგილოდ და ბოლოს სხვათა დახმარებით რის ვაივაგლახით მედავითნის ადგილი ეშოვნა შიგ ქალაქში. აქ კიდევ გაძვრა-გამოძვრა, ზოგს ენა უტანა, ზოგს უჯაშუშა, ზოგს სხვაფრივ ასიამოვნა გაიწრთვნა თან და თან ფლიდობა-ბეზღაობაში და არაფერს საშუალებას არ ერიდებოდა იმათ სასიამოვნოდ ვისგანაც გამოელოდა რამეს. ამისთანა პირებთან ხშირად ლაქიობის როლსაც ასრულებდა ხოლმე და როცა სტუმრიანობა ან წვეულება ექნებოდა ასეთს პირს უმალ იქ გაჩნდებოდა და სუფრის აღებ-დალებაში ჰშველოდა და ემსახურებოდა. შემდეგ ეს გარემოება სატრაბახოთა ჰქონდა ხოლმე მ. ლავრენტის.

— ეჰ, ეჰ უნდა გეყურებინათ ჩემთვის რა ციბრუტივითა ვტრიალებდი ხოლმე თეთრ წინსაფარ შემოკრული, რა რიგ მივართმევდი ხოლმე საჭმელებს.

ერთის სიტყვით მედავითნე ლავრენტი ყველგან დაიარებოდა, ზოგს ჭორს მოუტანდა, ზოგს უჯაშუშებდა, ვისაც რა ესიამოვნებოდა და ეამებოდა სწორედ იმ მხრიდან მოუვლიდა ხოლმე. ცოტა ხანში ისე გამოიქნა, ისე შეისწავლა ენის მნიშვნელობა და დახელოვნდა, რომ ტოლი არა ჰყავდა. ყველაფერში უნიჭომა და გამოუსადეგარმა, მხოლოდ ამაში გამოიჩინა ნიჭი და უნარი და ამ გზაზე დადგომით აპირებდა ცხოვრებაში გზის გაკაფვას. ისე, მიდიოდა კარგა ხანი, როცა კი დაატყო, რომ ახლა კი კოჭი ალჩუს დამიჯდებაო, მაშინვე ითხოვა მთავრობა და ქალაქის ერთ განაპირა უბანში მიიღო ადგილი. მისმა მფარველებმა ჩქარა შეამჩნიეს, რომ დახელოვნებული ლავრენტი სოფლად უფრო დიდს სარგებლობას მოიტანსო და ჩქარა მღვდლობა მისცეს, კუდიანეთში გაამწესეს და საჭირო ინსტრუქციებითა და დარიგებით გაისტუმრეს.

პირფერობაში გამოქნილმა და განსწავლულმა მამა ლავრენტიმ ისეთ მფარველ ანგელოზათ მოაჩვენა თავი სოფელს, ისე ეფერებოდა და ემკვლევინებოდა ყველას, რომ ადამიანი იფიქრებდა ამ კაცს პირიდამ თაფლის მეტი არაფერი ამოსდისო. მაგრამ ლავრენტი მეტად მოხერხებული და ეშმაკი იყო, რომ პირველადვე ეჩვენებინა თავისი თავი. ის მხოლოდ ნელად თანდათანობით ათვალიერებდა სოფელს, იგებდა ყოველივე წვრილმანს, აკვირდებოდა ყოველივეს და ცდილობდა არაფერი გამოჰპარვოდა თვალთაგან. დაკვირვებამ აღმოაჩინა ფრიად სასიამოვნო გარემოება მამა ლავრენტისათვის, სოფელი უძალლო იყო და შიგ რამდენიც გინდოდა იმდენს ივლიდი უჯოხოდ და როგორც გინდოდა ისე გააბამ-გამოაბამდი ქსელსა. როცა ამაში დარწმუნდა თამამად გადახედა სოფელს, გულში გაეცინა და თავის ცოლს მხიარულად შესძახა.

— ქალო მარინე, ჩვენისთანა იღბლიანი არავინ არის ღმერთმანი, ამისთანა დოვლათიანი და ბედაური მრევლი ბევრს კურსონიკსაც მოენატრება და ჩვენც მაგრად უნდა მოვიკიდოთ აქ ფეხი. ყველა კარგია, მაგრამ მასწავლებელი ქალი არ მომწონს, გუშინ მეუბნება პირველ განყოფილებაში რუსულად ლოცვებს ნუ ასწავლიო, ეგ პედაგოგიური შეცდომაო, არც პროგრამა მოითხოვს მაგასაო და ბავშვებსაც გონება დაუჩლუნგდებათო. ერთი მითხარით მაგას ვინ ეკითხება, ეგ არის ჩემი უფროსი, თუ მე მაგისი. მეტად თვითნებაა, თავმოყვარე, თავიც მოაქვს თავის ნასწავლობით, აღზრდა სიტყვა-პასუხით, მაგეთი მასწავლებელი როგორ გამოდგება, მასწავლებელი სამსოფლო სკოლისა ყველას მონა მორჩილი უნდა იყვეს. იმიტომ ჰქვიან სკოლას სამრევლო, რომ მასწავლებელი ვინც მრევლის თავია უპირველეს მისი მორჩილი უნდა იყვეს.

— ნეტავი შენ ძალიან ეფერები ვიღაც მასწავლებელი გდია, მიუგო ცოლმა, ერთი დამიხედეთ მაგის მასწავლებლობას, წამოუდგამს ჩიხტი-კოპი და ისე დაიარება სასწავლებელში. სად გაგონილა მასწავლებელი და ძველებური ქართული ჩაცმულობა. ვითომ ქართველად მოაქვს თავი, ეგ უბედური, მეხი კი დავაყარე მაგას, ეგეც კი ვერ გაუგია, რომ დიდი ხანია ქართველობა გახუნდა და ქართველობით პურს ვერ შესჭამს კაცი. რას ეფერები მისწერე ქალაქში, ხრიკები უგდე და მალე დღე მომეცეს, მალე ეგ აქედან აბარგონ.

— არა მაგრე არ იქნება, დიდი ხნის მასწავლებელია, ყველა იცნობს. ის ემჯობინება შევავიწროვო, საქმე გაუჭირო და თითონვე აიბარგება და მოგვშორდება.

ამ დღიდან მღვდელი ჯიბრში ჩაუდგა მასწავლებელს. უპირველეს ყოვლისა სასწავლო ნივთებისა, და ბიბლიოთეკის შკაფის გასაღები ჩამოართვა და ნებას არ აძლევდა მის დაუკითხავად ან წიგნი ან სასწავლო ნივთი მიეცა შეგირდისთვის. მასწავლებელმა იუკადრისა მღვდლის ასეთი საქციელი.

— აქამდის შემთხვევა არა ყოფილა, რომ რომელიმე სკოლის გამგეს ჩემთვის ჩამოერთმიოს სკოლის გასაღები და ეხლა რა დანაშაული მიმიძღვის რომ ასე მექცევით, შეეკითხა თინათინი.

— გამგე მე ვარ სკოლისა და არავის ვანდობ, რომ უჩემოდ შკაფიდამ ეძლეოდეს ვისმეს სასწავლო ნივთები და წიგნები.

— მაშ ერთი რვეული ან კალამი რომ მომინდეს უნდა თქვენს ძებნას შეუდგე და რადგან მუდამ სახლში არ იქნებით თქვენის წყალობით სწავლის მიმდინარეობა უნდა შეფერხდეს.

— ეგ თქვენი საქმე არ არის შეფერხდება თუ არა.

— მაშ ვისი საქმეა თუ არა ჩემი, სწავლა რომ ცუდად იყვეს დაყენებული და დაწესებული პროგრამმა ვერ გაიარონ შეგირდებმა, ვინ აგებს პასუხს თუ არა მე?

— მე ისე მენებება, ჩემი მოთხოვნილება და საქციელი კანონიერია და როგორც გენებოთ ისე მოიქეცით.

— იძულებული ვიქნები სკოლის მეთვალყურეს მივმართო თხოვნით და იმან გასაჯოს რამდენადაც სასურველია მაგ გვარად საქმის დაყენება.

— რამდენიც გენებოთ იმდენი მიმართეთ და იჩივლეთ, ვნახოთ რას გახდებით. დიდი ხატები მყავდნენ მწყალობელნი თორემ პატარები რას დამაკლებენ და ამ სიტყვებთან ერთად გაბრუნდა და გარედ გავიდა კლასიდან მღვდელი.

(დასასრული იქნება).

ზ. ედილი.



ახალ კლუბში.

ელდა ნაკრავი მსმენელი: კონცერტი თითქოს სიმფონიურია, მაგრამ ეს რა უცნაური ხმები ისმის?!..

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“. რედაქტორი ნ. კურდღელაშვილი გამომცემელი ა. ჯაჯანაშვილი.